საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს ,,მედიკალ ტექნოლოგი'' საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, 2015 წლის 29 დეკემბერს გაცემული №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებულ საქმიანობაში გეგმავს ცვლილების შეტანას, კერძოდ, საწარმოში განთავსებული ორი ინსინერატორიდან ერთ-ერთი ინსინერატორის სათადარიგო ინსინერატორით ჩანაცვლებას (რომელსაც გააჩნია განსხვავებული მახასიათებლები) და ასევე, საწარმოში, ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლის განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, ,,გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა'', ხოლო ამავე მუხლის პირველი ნაწილისა და პირველი დანართის მე-16 პუნქტის თანახმად, სახიფათო ნარჩენების (ფერფლი) განთავსება ექვემდებარება გზშ-ს.

ვინაიდან, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და ამავე საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობა ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული საქმიანობაა, რომელთაგან ერთი (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას ხოლო მეორე (სახიფათო ნარჩენების განთავსება) გზშ-ს პროცედურას, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საერთო სკოპინგის ანგარიშის მომზადების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში შპს ,,მედიკალ ტექნოლოგის'' ნარჩენების

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 8744
"17" 06 2019
2/3 ფ.
02

განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: 1.სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზ.

2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინტები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

ბესიკ წიქარიშვილი

დირექტორის მოადგილე

სპეციალიზებული. შპს "მედიკალ ტექნოლოგიები"
GEORGIA "MEDICAL TECHNOLOGY" LTD
404384590